ხელშეკრულება № 94

ქ. თბილისი, **2 ნოემბერი 2016 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“** (შემდგომში „შემსყიდველი''), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **მირონ ჩიგოგიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ეფემჯი სოფტ“** (შემდგომში „მიმწოდებელი''), წარმოდგენილი დირექტორის დავით გოგოჭურის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საქმიანი გარიგებებისა და პირადი საქმეების მართვის პროგრამული პაკეტების (CPV48400000) შესყიდვა (შემდეგში „საქონელი“), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. შესყიდვის ობიექტია: პროგრამული პაკეტი „ინფო საწარმო“ 5 (ხუთი) მომხმარებელზე. დეტალური მახასიათებლები და სპეციფიკაცია თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი #1-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 4720 (ოთხიათას შვიდასოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონელი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა.

3.3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა იყოს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #89 სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“- ს ადმინისტრაციული შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

5.1. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ლევან შანიძე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის შეუფერხებელი მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს, შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი და ნაკლის შემთხვევაში მოსთხოვოს მიმწოდებელს დეფექტური საქონლის ახლით შეცვლა.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და დადგენილი წესით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნისთანავე საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ მოახდინოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს შესაბამისობაში ამ ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა მხარეებს არ ათავისუფლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წამოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხალშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

10.3.სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

10.4. ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

10.5.ეპიდემიები;

10.6.ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

10.7.ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

10.8.ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ.

10.9.ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.

10.10. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც შემსყიდველს დაეკარგა ინტერესი ამ შესრულებაზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადაგადაცილებისთვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

12.5. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით.

12.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: საქართველოს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ლაურა ახალკაცი და ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი თამარ მაჭარაშვილი.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2.მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3.შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის წერილობით შეატყობინებს მეორე მიმწოდებელს ამის შესახებ.

14.4.ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის (სამართალმემკვიდრეთათვის).

14.6.წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.7.მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანდ ხელშეკრულების გაუქმებას.

14.8.მხარეებს შეუძლიათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

14.9.შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

14.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან (ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“, ერთი

ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან). ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.11. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“
ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქუჩა №89
ს/კ 205 309 637
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

მირონ ჩიგოგიძე
დირექტორის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ეფემჯი სოფტ“
მისამართი: ბალანჩივაძის ქუჩა #2
ს/კ 404 857 455
სს„თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE42TB7414936020100001

დავით გოგოჭური
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2 ნოემბერი 2016 წ

ქვემოთ ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ შპს „ეფემჯი სოფტ“-ის მიმართ სრულად ვაკმაყოფილებ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური:

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორის მოადგილე — მირონ ჩიგოგიძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი. — ლევან ედილაშვილი

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — ლევან შანიძე

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ლოგისტიკის დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი — ლაურა ახალკაცი

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი — თამარ მაჭარაშვილი

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი — გიორგი პატარქალაშვილი

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ქ. თბილისი 7 ნოემბერი 2016 წელი

სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-ს ლოგისტიკის დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ლაურა ახალკაცმა და ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა თამარ მაჭარაშვილმა განახორციელეს სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა“ და შპს „ეფემჯი სოფტი“-ს შორის 2016 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული #94 ხელშეკრულების კონტროლი, ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილი იქნა პროგრამული პაკეტი „ინფო საწარმო“ 5 (ხუთი) მომხმარებელზე, #94 ხელშეკრულების მოცემული პირობების შესაბამისად საერთო ღირებულებით 4720 (ოთხიათას შვიდასოცი) ლარის დღგ-ს გათვალისწინებით.

ხელშეკრულების კონტროლის დასკვნა:

აღნიშნული ხელშეკრულების პირობები და მიწოდების ვადები დაცულია.

კონტროლის გაწევაზე პასუხისმგებელი პირები: ლაურა ახლკაცი ----------

თამარ მაჭარაშვილი ----------

FMG SOFT



www.fmgsoft.ge

პროგრამის აღწერა

ინფო-საწარმო - თანამედროვე პროგრამა, ფირმის როგორც ბუღალტრული ისე მასთან დაკავშირებული ყველა მოდულის აღრიცხვის ავტომატიზირებისათვის. იგი არ არის შეზღუდილი მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, მასში ერთდროულად არის შესაძლებელი როგორც წარმოების, ისე სასაწყობე აღრიცხვის წარმოება და პროექტორება.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- საიმედობა. მუშაობისას მინიმუმამდეა დაყვანილი პროგრამის დაზიანება (არევა) მომხმარებლის ბრალეულობით. ეს მიიღწევა SQL-სერვერის მონაცემებთან წდომის ტრანზაქციული მოდელის გამოყენებით.

- სისწრაფე. მონაცემთა ბაზის ინფორმაციის შექმნისა და შევსების, ასევე შედეგების დამუშავების ჩაშენებული სისტემა, მომხმარებლის მოთხოვნებზე გარანტირებული და დროული პასუხების მიღების საშუალებას იძლევა.

- მოქნილი სტრუქტურა. მომხმარებლის მიერ პროგრამის საჭირო ვარიანტის კონფიგურაციის - შექმნის, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად ცვლილებისა და დამატების საშუალებას იძლევა.

- მასშტაბურობა. პროგრამის ფუნქციები შეიძლება გაიზარდოს დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად. (ეს განსაკუთრებით მიშვნელოვანია პროგრამის თავდაპირველად გამოყენების შემთხვევაში.)

- ფუნქციონალურობა. პროგრამაში ჩადებულია ფუნქციები, რომლებიც აუცილებელია წარმოების პროცესებისა და სასაწყობე აღრიცხვისათვის, ასევე გარეშე მწარმოებლების მიერ შექმინილი პროგრამებთან ინფორმაციის გაცვლისათვის.

- ბაზის მონაცემებთან წვდომის დანაწილება. თითოეულ მომხმარებელს შეუძლია დაინახოს მთლიანი მონაცემთა ბაზის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის ფუნქციებს შეესაბამება. *(მაგალითად, მოლარემ მხოლოდ სალაროსთან დაკავშირებული ანგარიშები და დოკუმენტები, შესაბამისი ბუღალტრული გატარებებით, ხოლო საწყობის თანამშრომელმა აკონტროლოს მხოლოდ საწყობში მიმდინარე მოძრაობა, საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ რაოდენობრივად, ...)*

- სხვადასხვა მოწყობილობებთან თავსებადობა. შესაძლებელია პროგრამასთან სხვადასხვა პერიფერიული მოწყობილობების დაკავშირება *(მიერთება)*.

- თავსებადობა სხვა პროგრამებთან. პროგამას აქვს გარეშე პროგრამებთან ინფორმაციის გაცვლის საშუალება *(Excel, ...)*

- RS.GE კავშირი შემოსავლების სამსახურის საიტთან. შესაძლებელია ზედნადებების ატვირთვა-ჩამოტვირთვა პორტალზე.

- რაპორტინგი. პროგრამას აქვს მრავალი ჩაშენებული რაპორტი, რომლის აწყობაც მომხმარებლის შეუძლია თავად, ფირმის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე შესაძლებელია შეიქმნას დამატებითი გამომავალი ფორმები, პროგრამის შიდა პროგრამირების ენის გამოყენებით.

- ორმაგი პლატფორმის გამოყენება. პროგრამის სერვერული ნაწილის მუშაობა შესაძლებელია როგორც ოპერაციული სისტემა Windows-ზე , ისე Linux-ზე.

- პროგრამასთან მუშაობის შესწავლის სიმარტივე. მომხმარებლის მუშაობისთვის არ ესაჭიროება ხანგრძლივი მომზადება და პროგრამის განსაკუთრებილი თავისებურებების ცოდნა - საკმარისია მხოლოდ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევების ქონა და საკუთარი ფუნქციის შესაბამისი გამოცდილება. პროგრამაში ჩადებულია კონტექსტური ცნობარი.

- პროგამის ინტერფეისი. პროგრამას აქვს მარტივად აღქმადი და გამოსაყენებადი ინტერფეისი, ამის მიუხედავად იგი მოიცავს დიდი რაოდენობით ფუნქციებს.

- ოპერაციების ერთიანი ჟურნალი. პროგრამა შექმნილია ერთიანი ოპერაციების ჟურნალის კონცეფციით, რომელიც დამატებითი ჟურნალების გამოყენების გარეშე, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას გამომავალი ფორმების ფორმირებისათვია. ამ კონცეფციის ფარგლებში ოპერაცია ამავდროლად არის პირელადი საანაგრიშო დოკუმენტიც. ჟურნალში ოპერაციები ხვდება პირველადი დოკუმენტების შევსებისას, ტიპიური ოპერაციებით, ასევე სპაცალიზირებილ დოკუმენტებთან მუშაობისას და უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია ხელით გატარებაც.

- კონსოლიდურებული აღრიცხვის წარმოება. თუ თქვენ გაქვთ რამდენიმე ორგანიზაცია ან ერთი ფირმაზე რამოდენიმე ინდ. მეწარმეზე მუშაობს, შესაძლებელია ერთიან მონაცემთა ბაზაში მოხდეს მათი კონსოლიდურებული აღრიცხვის წარმოება.

- თქვენზე (დამკვეთზე) მორგებული მოდული. სხვა პროგრამებისთან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ პროგრამა თავად ეწყობა თქვენი ორგანიზაციის აღრიცხვის თავისებურებებს და არა პირიქით, შედეგად თქვენ ხედავთ მხოლოდ იმ ფუნქციებს რომლებიც თქვენ გჭირდებათ და არაფერ ზედმეტს.

პროგრამის სტრუქტურა



პროგრამის გაშვება ხდება ელექტრონული USB გასაღების საშუალებით, რომელშიც ჩაწერილია გამშვები კოდი.



პროგრამაში მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა განიზასზღვრება შეძენილი ლიცენზიების რაოდენობის შესაბამისად.

პროგრამის ძირითადი მოდულები და მათი ფუნქციები:

ბუღალტერია:

1. სალაროს ოპერაციები, შესაბამისი დოკუმენტების გენერირება.
2. ბანკის ოპერაციები (ინტერნეთბანკთან კავშირი)
3. სასაქონლო ზედნადების და ელექტრონული ანგ-ფაქტურების ატვირთვა RS.GE-ზე
4. უწყისების მიღება ბრუნვის ნებისმიერი დიაპაზონისთვის
5. გატარებებისა და სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია შემსრულებლითა და თარიღით
6. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა(მიღება, გადაფასება, ჩამოწერა, ცვეთა)
7. ძირითადი საშუალებების ადმინისტრირება ლოკაციის და მატერიალური პასუხისმგებელი პირის მიხედვით
8. ექსპლუატაციაში გაცემული ინვენტარის აღრიცხვა
9. ფინანსური ცვეთის ყოველთვიური დარიცხვისა და წლების მიხედვით გამოტანის საშუალება
10. სამეურნეო ოპერაციების შესაძლო ავტომატიზაცია
11. შაბლონური ოპერაციების აწყობა
12. ხარჯების ანალიზური აღრიცხვა
13. საბალანსო გადახურვების ავტომატიზაცია
14. მრავალი მომხმარებლის (ქსელი) ერთდროულად მუშაობა
15. საოპერაციო და ანალიზური პერიოდის ცვლილების საშუალება
16. ნაშთები, ბრუნვები, ანგარიშის ბარათები, ჟურნალ-ორდერები, ჭადრაკული უწყისები ინფორმაციის ფილტრაციის შესაძლებლობა
17. თავსებადი იყოს სხვა პროგრამებთან (შესაძლებელი იყოს სხვა პროგრამებიდან ამოღებული ინფორმაციის იმპორტირება) ინფორმაციის შეყვანის საშუალება ექსელისა და სხვა ფაილებიდან

საწყობი:

1. სასაქონლო ნომენკლატურის კოდების მოწყობა
2. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემოსავლების აღრიცხვა
3. საქონლის შიდა მოძრაობის და ჩამოწერის აღრიცხვა
4. სასაქონლო ზედნადებების გენერაცია და ატვირთვა RS.GE-ზე
5. RS.GE-ზე მოსული სასაქონლო ზედნადებების ჩამოტვირთვა
6. საწყობების მიხედვით ნაშთების კონტროლი და ავტორიზაცია
7. საწყობის მოდულში ინფორმაციის ავტომატური გენერირება ბუღალტერიიდან (საქონლის შემოსავალში აყვანის შემთხვევაში)
8. რეპორტების მომზადება სხვადასხვა საქონლის, საწყობების, ნაშთების და პერიოდების მიხედვით
9. საქონელი საწყობების მიხედვით აღრიცხვა
10. საწყობის პროგრამაში დამოუკიდებლად მუშაობის და მის მიერ განხორციელებული გატარებების შედარების შესაძლებლობა ბუღალტრულ ნაშთებთან

ტრანსპორტი

1. სატრანსპორტო საშუალებების ერთიანი ბაზის მოწყობა(არსებული ინფორმაციის ატვირთვა)
2. ტრანსპორტზე გაწეული ხარჯების აღრიცხვა

3. დახარჯული საწვავის ჩამოწერა, გარბენების მიხედვით კონტროლი
4. დაყენებული და ჩამოწერილი ნაწილების კონტროლი ოდომეტრის ჩვენებების მიხედვით
5. გეგმიური და ფაქტიური ხარჯების (ზეთი, საბურავი, ხუნდები...) ანალიზი
6. დაჯგუფება და ანალიზი ტრანსპორტის ტიპის, მოდელის, მარკის... მიხედვით
7. სატრანსპორტო საშუალების ბარათის წარმოება, როგორც ფინანსური ასევე ტექნიკური სამუშაოების მიხედვით (შესყიდვის თანხა, ცვეთა)

შესყიდვები

1. შესყიდვების ხელშეკრულებების გენერირება კონტრაგენტების მიხედვით
2. ხელშეკრულების რეესტრის შექმნა (ხელშეკრულების გაფორმების თარიღის, ძალაში შესვლის თარიღის, მიწოდების ვადის, მოქმედების ვადის, სახელშეკრულებო თანხის, შესრულების, ნაშთის, CPV – კოდის, SPA და CMR ნომრის მითითებით), თითოეული ხელშეკრულების და მიღება–ჩაბარების აქტის მიბმის საშუალება
3. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების კონტროლირება
4. გადახდების კონტროლი შესყიდვის ხელშეკრულების მიხედვით
5. ხელშეკრულებებისა და შესყიდვების შესრულების მონიტორინგი

პროგრამის მიმართ არსებული ზოგადი მოთხოვნები

• სისტემაში სხვადასხვა მომხმარებლისთვის ფუნქციების განსაზღვრა და განაწილება;
• რეპორტინგის უნივერსალური სისტემის მოწყობა აღრიცხვის ერთეულების, პერიოდების, განყოფილებების მიხედვით;
• სხვადასხვა დაშვების დონე მოდულების მიხედვით;
• მომხმარებლებლების ნებართვებისა და აკრძალვების მოწყობა, ინფორმაციის დაცულობის და კონფიდენციალურობის ადმინისტრირება;
• სარეზერვო ასლების ავტომატური შენახვა;
• ყველა მოდული დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთად ერთიანი მონაცემთა ბაზით

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	შ პ ს „ეფემჯი სოფტ"
დირექტორის მოადგილე	დირექტორი
მირონ ჩიგოგიძე	დავით გოგოჭური
----------	----------